



# ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„პ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

ადგილობრივი თვითმმართველი

ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი

11 01 2018 წელი

ეგზ. №1

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01.00), „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი: 03.00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში № 4/36

2018 წელი

**სარჩევი**

|                                                                                                                           |    |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| შემაჯამებელი მიმოხილვა .....                                                                                              | 3  |
| რეკომენდაციები .....                                                                                                      | 4  |
| შესავალი.....                                                                                                             | 5  |
| ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ .....                                                                          | 8  |
| წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამის კოდი: 01 00).....                                    | 10 |
| შრომის ანაზღაურება .....                                                                                                  | 11 |
| საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება .....                                                                            | 12 |
| მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებები .....                                                       | 13 |
| ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამის კოდი: 03 00) .....                                    | 14 |
| მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებები.....                                                                              | 15 |
| ქალაქ ახალქალაქის ქუჩებისა და ეზოების მოწყობა .....                                                                       | 19 |
| „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები .....                                               | 22 |
| შიდა აუდიტი .....                                                                                                         | 25 |
| სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....                                                         | 26 |
| პირობითი მოსაზრება 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....                                                          | 26 |
| პირობით მოსაზრების საფუძველი .....                                                                                        | 27 |
| დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები.....                                                                                      | 27 |
| შენობა-ნაგებობების აღრიცხვა.....                                                                                          | 28 |
| მანქანა - დანადგარები და ინვენტარის აღრიცხვა.....                                                                         | 28 |
| არაწარმოებული აქტივების აღრიცხვა .....                                                                                    | 29 |
| შემოსავლების აღრიცხვა.....                                                                                                | 29 |
| ახალქალაქის მუნიციპალიტეტში წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა ნაკლოვანებების მდგომარეობა..... | 29 |
| აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი .....                                                                                 | 30 |
| აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები .....                                                                                 | 30 |

## შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00) და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი: 03 00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

- ❖ მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.
- ❖ აუდიტის შედეგად გამოვლინდა სამუშაოების შესყიდვის პროცესში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული არაეკონომიური ხარჯის შემთხვევა. კერძოდ, სასმელი წყლის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის ტენდერში მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვიტა და იგივე სამუშაოები შეისყიდა უფრო ძვირად. მიმწოდებელმა გაასაჩივრა გამგეობის გადაწყვეტილება, რომელიც სასამართლომ ბათილად ცნო.
- ❖ აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც მუნიციპალიტეტმა სამუშაოები ისე ჩაიბარა, რომ მიმწოდებელთან არ ქონდა გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება. რადგან გამგეობამ უარი განაცხადა შემსრულებლისთვის ანაზღაურებია სამუშაოების ღირებულება, მიმწოდებელმა მიმართა სასამართლოს, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტს დაეკისრა, როგორც შესრულებული სამუშაოების, ასევე სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება. შედეგად მუნიციპალიტეტმა ზედმეტად გადაიხადა სასამართლო პროცესის ხარჯები.
- ❖ აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების გარკვეული ნაწილი დაზიანებულია. მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს მიმწოდებლებისათვის ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ საგარანტიო ვადაში ხარვეზების გამოსწორების მოთხოვნით. შედეგად, მოსახლეობამ ვერ მიიღო პროექტით გათვალისწინებული სარგებელი გრძელვადიან პერიოდში.
- ❖ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას, რამდენიმე შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ობიექტის დასრულება და ფუნქციონირება, რადგან არ გაითვალისწინა საჭირო ფინანსური რესურსი. შედეგად მოსახლეობა შექმნილი მატერიალური სიკეთით ვერ სარგებლობს და პროექტებზე გაწეული ხარჯი არ არის ეფექტიანი.
- ❖ მუნიციპალიტეტის მიერ შედგენილი ფინანსური ანგარიშგების შესწავლისას გამოვლინდა ხარვეზები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მონაცემების სისწორეზე.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევანაკლოვანებები ვრცელი ფორმით და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

### რეკომენდაციები

**რეკომენდაცია №1:** ახალქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვიდან გამომდინარე, შეიმუშაოს წესი მუნიციპალიტეტში დასაქმებულ მოსამსახურეთა წახალისების ფორმების შესახებ. მიღებული წესით, უნდა დარეგულირდეს, მოსამსახურეთა მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასების და დასაბუთების საფუძველზე, წახალისების გაცემის ოდენობა და მიზანშეწონილობა. აღნიშნულის მიზანია საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა მოტივაციის გაზრდა, აგრეთვე დასაქმების ბაზარზე არსებული კონკურენციის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტში კვალიფიციური კადრების შენარჩუნება და მოზიდვა. ამასთანავე, მიზანშეწონილია შემუშავებული წესი თავსებადი იყოს საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებასთან.

**რეკომენდაცია №2.** ახალქალაქის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე. ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა მოიცვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

**რეკომენდაცია №3.** მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობის, ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფისა და პრეტენდენტთა მიმართ არასამართლიანი დისკვალიფიკაციის ან ხელშეკრულების კანონდარღვევით შეწყვეტის თავიდან აცილების მიზნით, შეიმუშაოს ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პრეტენდენტების მიმართ სამართლიან და ობიექტურ მიდგომას. ასევე, გამგეობამ აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებულ საკითხთან დაკავშირებით შეისწავლოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები.

**რეკომენდაცია №4:** მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) დაადგინოს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სათანადო ღონისძიებები. ასევე, არ დაუშვას სამუშაოების შესყიდვა ზეპირი ფორმით შეთანხმებების საფუძველზე. ანაზღაურება განხორციელოს მხოლოდ წერილობითი სახით შედგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დოკუმენტური და მატერიალური მტკიცებულებების არსებობის პირობებში.

**რეკომენდაცია №5:** სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, მუნიციპალიტეტმა დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და განახორციელოს ისეთი პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას, თუ რამდენად ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები. გამგეობამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) რეგულარულად უნდა განახორციელოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში გაატაროს სათანადო ღონისძიებები, არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ასევე გამგეობამ, პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ საგარანტიო პერიოდში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე წარმოქმნილი დაზიანებების აღმოსაფხვრელად სათანადო რეაგირება, გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

**რეკომენდაცია №6:** მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს თავიდან აიცილოს ისეთი პროექტების განხორციელება, რომლითაც მოსახლეობა ვერ სარგებლობს. მუნიციპალიტეტმა ასევე შეიმუშაოს და დანერგოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც შეამცირებს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების შესყიდვის რისკს. ამასთანავე, უზრუნველყოს საგარანტიო პერიოდში უხარისხობის მიზეზით გამოწვეული ხარვეზების გამოვლენასა და გამოსწორებას. მუნიციპალიტეტმა ასევე შეისწავლოს საკითხი თუ ვის ევალებოდა აღნიშნული ხარვეზების გამოვლენა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

**რეკომენდაცია №7:** ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება არსებული რისკების შეფასებითა და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. აღნიშნული გამგეობას საშუალებას მისცემს, გამოავლინოს მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში არსებული დარღვევა-ნაკლოვანებები და მათი აღმოფხვრის მიზნით ჩაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. ამასთან, შიდა აუდიტის სუბიექტმა შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

## შესავალი

### აუდიტის საგანი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი და 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00), „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და



ექსპლოატაციის“ (პროგრამის კოდი: 03 00) პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი.

### აუდიტის მიზანი

ა) დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა განზრახ ან უნებლიე შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, რაც აუდიტორს შესაძლებლობას მისცემს, გამოთქვას მოსაზრება აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგების სისწორეზე - შედგენილია თუ არა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად;

ბ) აუდიტის საგნის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან (შემდგომში - კრიტერიუმი) შესაბამისობის შესახებ დასკვნების გაკეთება, რეკომენდაციების შემუშავება და აუდიტის ანგარიშის გაცემა.

აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება:

- მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შეუსაბამობა - ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის, საქმიანობის წარმართვის, საჯარო რესურსების გამოყენების და საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაუცველობა.
- საქმიანობის არაეფექტიანობა - აუდიტის ობიექტის მიერ ეკონომიურობისა და პროდუქტიულობის პრინციპების დაუცველობა.
- შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ფუნქციის სისუსტეები ან/და ნაკლოვანებები.
- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად.

აუდიტის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, ანგარიში ვერ უზრუნველყოფს აბსოლუტურ რწმუნებას აუდიტის საგნის კრიტერიუმ(ებ)თან სრული შესაბამისობის შესახებ. ამასთანავე, აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა პროფესიული განსჯის საფუძველზე, ხარისხობრივი და რაოდენობრივი შერჩევის პრინციპებზე დაყრდნობით და შესაძლებელია არ მოიცვას აუდიტის საგნის ყველა ელემენტი.

### აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების, 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების

დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა ჯამში 18 683.6 ათასი ლარი.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა**

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა**

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810; 4000) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება და ობიექტის მიერ 2015-2016 წლებში „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ და „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტი ჩატარდა შერჩევის პრინციპზე დაყრდნობით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ამოწმებს ყველა ფინანსურ ოპერაციას. აუდიტის ანგარიში და დასკვნა არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად აუდიტორული დასკვნის გამყარების მიზნით. პროცედურები შეირჩევა აუდიტორული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი რისკების შეფასებას. ჩვენს მიერ განხორციელებული აუდიტორული პროცედურები შესაფერისია არსებული გარემოებისთვის.



### გამოყენებული კრიტერიუმები<sup>1</sup>

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება;
- „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი ;
- „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილება;
- „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება;
- „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება;
- „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება;
- „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

### ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 22 ადმინისტრაციულ ერთეულს და მოიცავს 65 სოფელსა და ერთ ქალაქს.

მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

<sup>1</sup> 2015-2016 წლებში მოქმედი რედაქციის მიხედვით

კანონმდებლობით მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები.

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და საბიუჯეტო პროგრამები.** ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე<sup>2</sup> დაყრდნობით, 2015-2016 წლების შემოსულობებმა 33 321.1 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 23 953.4 ათასი ლარი შეადგინა.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები 2013 წლიდან პროგრამულად იგეგმება. პროგრამა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში.

პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვა შედეგზეა ორიენტირებული, მის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მისაღები საბოლოო და შუალედური შედეგები და არა მხოლოდ პროგრამების განმახორციელებლებზე გადანაწილებული რესურსები. პრიორიტეტების დოკუმენტით პარარელურად იგეგმება შედეგი და ის ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შედეგის გაზომვა გახდება შესაძლებელი.

„წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ (პროგრამის კოდი: 01 00), „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ (პროგრამის კოდი: 03 00) პროგრამების შესრულებაზე პასუხისმგებელია ახალქალაქის მუნიციპალიტეტი და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები.

შესრულების წლიური ანგარიშების მიხედვით, 2015-2016 წლებში აღნიშნული პროგრამების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა 18 683.6 ათასი ლარი შეადგინა. პროგრამის გადასახდელების მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში:

**ცხრილი №1. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ 2015-2016 წლებში გაწეული ხარჯი პროგრამების მიხედვით (ათასი ლარი)**

| კოდი  | დასახელება                                                | 2015 წელი      | 2016 წელი      | სულ             |
|-------|-----------------------------------------------------------|----------------|----------------|-----------------|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 2 589.7        | 2 605.5        | 5 195.2         |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია  | 6 835.6        | 6 652.8        | 13 488.4        |
|       | <b>სულ</b>                                                | <b>9 425.3</b> | <b>9 258.3</b> | <b>18 683.6</b> |

<sup>2</sup> ახალქალაქის საკრებულოს მიერ დამტკიცებული.

როგორც ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაციის პროგრამის დაფინანსება 2016 წელს წინა წელთან შედარებით შემცირებულია 182.8 ათასი ლარით. ხოლო წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება 2016 წელს წინა წელთან შედარებით გაზრდილია 15.8 ათასი ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია შრომის ანაზღაურების მუხლის ზრდით.

### წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამის კოდი: 01 00)<sup>3</sup>

„წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის გამართულ ფუნქციონირებას. პროგრამიდან ფინანსდება საკრებულოსა და გამგეობის შენახვის ხარჯები, მათ შორის თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი და სხვ. პროგრამა ასევე მოიცავს არაფინანსური აქტივების ზრდას, გრანტებსა და სხვადასხვა ხარჯებს. 2015-2016 წლებში აღნიშნული პროგრამის დაფინანსებისათვის გაიხარჯა 5 195.2 ათასი ლარი. პროგრამაზე გაწეული გადასახდელების მუხლობრივი ჩაშლა წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილი № 2: 2015-2016 წლებში 01 00 პროგრამაზე ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული გადასახდელები (ათასი ლარი)

| პროგრამის კოდი | დასახელება                                                | 2015 წელი | 2016 წელი | სულ     |
|----------------|-----------------------------------------------------------|-----------|-----------|---------|
| 01 00          | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 2 589.7   | 2 605.5   | 5 195.2 |
|                | ხარჯები                                                   | 2 427.2   | 2 452.4   | 4 879.6 |
|                | შრომის ანაზღაურება                                        | 1 824.5   | 1 862.6   | 3 687.1 |
|                | საქონელი და მომსახურება                                   | 499.0     | 516.2     | 1 015.2 |
|                | პროცენტი                                                  | 88.8      | 73.3      | 162.1   |
|                | გრანტები                                                  | 14.0      | 0         | 14.0    |
|                | სხვა ხარჯები                                              | 0.9       | 0.3       | 1.2     |
|                | არაფინანსური აქტივების ზრდა                               | 39.7      | 14.7      | 54.4    |
|                | ვალდებულებების კლება                                      | 122.8     | 138.4     | 261.2   |

<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების“ პროგრამა არ მოიცავს თავდაცვისა და უსაფრთხოებაზე გაწეულ ხარჯებს, რომელმაც 2015-2016 წლებში 365.3 ათასი ლარი შეადგინა. ეს ხარჯები ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელიც სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებულია და ცალკე პროგრამული კოდით არის ბიუჯეტში წარმოდგენილი - „თავდაცვა საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება“ (პრ. კოდი 02 00). შედეგად აუდიტის მასშტაბში არ შედის.

## შრომის ანაზღაურება

**კრიტერიუმი:** „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის №449 დადგენილების საფუძველზე, პრემია გაიცემა საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების (საჯარო დაწესებულებაში სამუშაოს შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში) ან/და დასაბუთების საფუძველზე. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული პირის თანამდებობრივ სარგოს. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე პრემია შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ. აღნიშნული დადგენილება თვითმმართველი ერთეულებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა.

**გარემოება:** 2015-2016 წლებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე გაცემულია შრომის ანაზღაურება სულ 3 687.1 ათასი ლარის<sup>4</sup> ოდენობით, მათ შორის პრემია - 852.4 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტს არ აქვს შემუშავებული წესი პრემიის გაცემის შესახებ, რომლითაც დარეგულირდება პრემიის გაცემის საფუძვლები. ახალქალაქის მუნიციპალიტეტი თანამშრომელთა პრემირებას ახდენს ყოველკვარტალურად, რაზედაც გამოიცემა შესაბამისი ბრძანება. აღსანიშნავია, რომ უმრავლეს შემთხვევაში<sup>5</sup> არ არის დოკუმენტურად სათანადოდ დასაბუთებული, რის საფუძველზე განხორციელდა კონკრეტული დასაქმებულის პრემირება. ძირითადად გაცემული პრემია შეადგენს მოხელის თანამდებობრივი სარგოს 100%-ს.

ამრიგად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობამ არ გაითვალისწინა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლის მიხედვით პრემია გაიცემა საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების ან/და სათანადო დასაბუთების საფუძველზე. შედეგად, მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ, 852.4 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ისეა გაცემული, რომ არ არის დასაბუთებული რის საფუძველზე განხორციელდა თანამშრომელთა პრემირება.

**რეკომენდაცია №1:** ახალქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვიდან გამომდინარე, შეიმუშაოს წესი მუნიციპალიტეტში დასაქმებულ მოსამსახურეთა წახალისების ფორმების შესახებ. მიღებული წესით, უნდა დარეგულირდეს, მოსამსახურეთა მიერ შესრულებული სამუშაოების შეფასების და დასაბუთების საფუძველზე, წახალისების გაცემის ოდენობა და მიზანშეწონილობა. აღნიშნულის მიზანია საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა მოტივაციის გაზრდა, აგრეთვე დასაქმების ბაზარზე არსებული კონკურენციის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტში კვალიფიციური კადრების

<sup>4</sup> 2015 წელი - 1 776.3 ათასი ლარი; 2016 წელი - 1 918.6 ათასი ლარი.

<sup>5</sup> სათანადო დასაბუთება ახლავს მხოლოდ 5 პირზე გაცემულ პრემიას

შენარჩუნება და მოზიდვა. ამასთანავე, მიზანშეწონილია შემუშავებული წესი თავსებადი იყოს საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებასთან.

### საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება

**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობა. კანონმდებლობა ითვალისწინებს საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას. მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობისათვის, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. გამგეობის მიერ აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელშიც აღინიშნება ფორმის დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე, გარდა თანამდებობის პირებისა, ასანაზღაურებელი ხარჯების ყოველთვიური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს.

**გარემოება:** ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიღებული აქვს საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ხარჯის ანაზღაურების წესი<sup>6</sup>. დადგენილი წესის მიხედვით, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ასევე თითოეული დავალების შესრულებასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) განესაზღვრათ ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობა 400 ლარის ოდენობით.

2015-2016 წლებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე ხარჯების ანაზღაურების სახით სულ გაცემულია 190.4 ათასი ლარი, მათ შორის, 2015 წელს - 96.0 ათასი ლარი, ხოლო 2016 წელს - 94.4 ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციით, ყველა შემთხვევაში ხარჯები ანაზღაურებულია ლიმიტის მაქსიმალური ოდენობით, მიუხედავად იმისა, რომ არ არის წარმოდგენილი ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები.

<sup>6</sup> ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 თებერვლის დადგენილება, „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“.



შედეგად, საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე ხარჯები მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) აანაზღაურა მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 22 ივლისიდან ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განისაზღვრა საკრებულოს წევრთა ხარჯების ანაზღაურების ყოველთვიური ლიმიტის ოდენობა, რომლის მიხედვით ასანაზღაურებელი ხარჯების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს, რაც ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში 397.5 ლარია. მუნიციპალიტეტმა არ გაითვალისწინა აღნიშნული შეზღუდვა და 2015-2016 წლებში საკრებულოს არაანაზღაურებად დეპუტატებზე ხარჯების ანაზღაურების მიზნით თითოეულზე გასცა 400 ლარი. შედეგად, დაირღვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები და საკრებულოს წევრებზე ლიმიტს ზემოთ ანაზღაურებულმა თანხამ სააუდიტო პერიოდში 0.9 ათასი ლარი შეადგინა.

ამრიგად, 2015-2016 წლებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე 190.4 ათასი ლარის ხარჯი მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) აანაზღაურა მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ. ამასთანვე, დაირღვა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები და საკრებულოს წევრებზე ლიმიტს ზემოთ ანაზღაურებულმა თანხამ სააუდიტო პერიოდში 0.9 ათასი ლარი შეადგინა.

**რეკომენდაცია №2:** ახალქალაქის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე. ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა მოიცვანოს მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

## მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებები

**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტს ფუნქციონირებისათვის ესაჭიროება ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომელთა რიცხოვნობა თვითმმართველობებისათვის კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა დადგენილება<sup>7</sup>, სადაც საბიუჯეტო ორგანიზაციებში განისაზღვრა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზღვრული ოდენობა, ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის ფორმა. ავტომანქანების ზღვრული ოდენობა დამოკიდებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებში სამტატო რიცხოვნობაზე. მთავრობის დადგენილება

<sup>7</sup> საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“.



თვითმმართველობებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი შესრულება.

არსებული რეკომენდაციით, 2015 - 2016 წლებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად რეკომენდებული იყო 6 ერთეული ავტომანქანა.

**გარემოება:** ახალქალაქის მუნიციპალიტეტი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად 2015-2016 წლებში სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 9 ერთეული ავტომანქანით, აღნიშნული ავტომანქანების ექსპლუატაციისათვის, მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული საწვავის მოხმარების ლიმიტების შესაბამისად, სააუდიტო პერიოდში დახარჯულია 172.1 ათასი ლარი<sup>8</sup>.

მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა 3 ერთეულით აღემატება მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ოდენობას.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად იყენებდა 8 ავტომობილს. მიუხედავად იმისა, რომ წლის დასაწყისში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომობილების რაოდენობა 2 ერთეულით აჭარბებდა მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ რეკომენდირებულ ზღვრულ ოდენობას, 2015 წლის მარტში გამგეობამ დამატებით შეისყიდა ერთი ავტომობილი, ღირებულებით 19.5 ათასი ლარი. შესყიდული ავტოსატრანსპორტო საშუალებით 2015 წელიდან სარგებლობდა ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი.

ამრიგად, 2015-2016 წლებში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტომობილების რაოდენობის განსაზღვრისას არ გაითვალისწინა მთავრობის რეკომენდაცია და მუნიციპალიტეტის ავტოპარკმა რეკომენდირებულ ზღვრულ ოდენობას გადააჭარბა 3 ერთეული ავტომობილით.

#### **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამის კოდი: 03 00)**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ბიუჯეტის შესაბამისად, ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობად განსაზღვრულია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, რაც ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. კერძოდ, პროგრამის შესაბამისად დაიგეგმა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დასასვენებელი პარკისა და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, წყლის სისტემების

<sup>8</sup> 2015 წელი - 95.8 ათასი ლარი, 2016 წელი - 76.3 ათასი ლარი.

რეაბილიტაცია, დასუფავების ღონისძიებები და სხვ. გარდა ამისა, პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამა ითვალისწინებს არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას.

პროგრამის განხორციელებიდან მოსალოდნელი საბოლოო შედეგები და შეფასების ინდიკატორები ქვეპროგრამების მიხედვით, აღწერილია მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შესაბამისად. პროგრამის ბიუჯეტი წლების მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში.

**ცხრილი № 3. 2015-2016 წლებში 03 00 პროგრამაზე ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული გადასახდელები (ათასი ლარი)**

| პროგრამის კოდი | დასახელება                                                              | 2015 წელი | 2016 წელი | სულ      |
|----------------|-------------------------------------------------------------------------|-----------|-----------|----------|
| 03 00          | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია                | 6 835.6   | 6 652.8   | 13 488.4 |
| 03 01          | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა         | 3 575.5   | 4 056.3   | 7 631.8  |
| 03 02          | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია      | 1 410.8   | 825.9     | 2 236.7  |
| 03 03          | მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა                                 | 782.5     | 853.1     | 1 635.6  |
| 03 06          | „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები | 1 066.8   | 917.5     | 1 984.3  |

### მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებები

#### სოფელ ტურცხის სასმელი წყლის რეაბილიტაცია

**კრიტერიუმი:** მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია რაციონალურად და მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, განახორციელოს შესყიდვა მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. შესყიდვების კანონმდებლობით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესების და ნორმების დაცვაზე, შესყიდვების რაციონალურად განხორციელებაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

**გარემოება:** 2015 წლის 19 ივნისს ახალქალაქის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი სოფელ ტურცხის სასმელი წყლის რეაბილიტაციის შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 129.0 ათასი ლარი.<sup>9</sup> სატენდერო დოკუმენტაციით, სამუშაოების გამოცდილებად მოთხოვნილი იყო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოები (სასმელი წყლის წყალსადენის მოწყობის სამუშაოები) 200.0 ათასი ლარის ოდენობით.

<sup>9</sup> SPA 150017370.

ტენდერში მონაწილე ოთხი პრედენდენტიდან<sup>10</sup> ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრედენდენტს, შპს „სამცხე XXI-ს“, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით მიეცა დისკვალიფიკაცია იმ მოტივით, რომ მას არ გააჩნდა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება პრედენდენტმა გაასაჩივრა სახელმწიფო შესყიდვების დავების განმხილველ საბჭოში. დავების საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით, შპს „სამცხე XXI-ის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოების დამადასტურებელი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. შესაბამისად, ტენდერში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს. შედეგად, შპს „სამცხე XXI-ის“ საჩივარი დაკმაყოფილდა.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განმხილველი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სატენდერო კომისიამ გააუქმა დისკვალიფიკაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. შედეგად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტსა და შპს „სამცხე XXI-ს“ შორის 2015 წლის 17 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება სოფელ ტურცხის სასმელი წყლის რეაბილიტაციის შესყიდვაზე, სახელშეკრულებო ღირებულებით 103.9 ათასი ლარი.<sup>11</sup>

2015 წლის 21 სექტემბერს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შპს „სამცხე XXI-თან“ გაფორმებული ხელშეკრულება მუნიციპალიტეტმა ცალმხრივად შეწყვიტა იმის გამო, რომ მიმწოდებელს არ ჰქონდა დაწყებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები.<sup>12</sup>

2015 წლის 23 სექტემბერს ახალქალაქის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ახალი ტენდერი სოფელ ტურცხის სასმელი წყლის რეაბილიტაციის შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 129.0 ათასი ლარი.<sup>13</sup> ტენდერის საფუძველზე, 2015 წლის 27 ოქტომბერს მუნიციპალიტეტსა და შპს „არქიკულტურას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება აღნიშნული სამუშაოების შესყიდვაზე ღირებულებით 119.0 ათასი ლარი.<sup>14</sup>

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 21 სექტემბრის ბრძანება<sup>15</sup>, 2015 წლის 17 აგვისტოს №123 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ შპს „სამცხე XXI-ის“ მიერ გასაჩივრებულ იქნა ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში. მიმწოდებელმა სასამართლოში წარადგინა ფოტოსურათები იმის დასამტკიცებლად, რომ ის რეალურად ახორციელებდა სამშენებლო სამუშაოებს, მაგრამ გამგებამ მაინც შეწყვიტა აღნიშნული ხელშეკრულება. რაიონული სასამართლოს 2016 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით, შპს „სამცხე XXI-ის“

<sup>10</sup> შპს „მშენებელი-2004“, შპს „არქიკულტურა“, ი.მ. „ცოლაკ ვარტიკიან“ და შპს „სამცხე XXI“.

<sup>11</sup> ხელშეკრულება №123.

<sup>12</sup> ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 27 აგვისტოს № 8 ოქმი და 2015 წლის 15 სექტემბრის №9 ოქმი.

<sup>13</sup> SPA150025775.

<sup>14</sup> ხელშეკრულება №151

<sup>15</sup> ბრძანება №560-13

სარჩელი დაკმაყოფილდა და უკანონოდ იქნა ცნობილი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.<sup>16</sup> საბოლოოდ ახალქალაქის მუნიციპალიტეტსა და მიმწოდებელს შორის გაფორმდა მორიგება, რომლის მიხედვითაც გამგეობა გააუქმებდა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გამოცემულ ბრძანებას, ხოლო კომპანია, თავის მხრივ, არ მოითხოვდა გამგეობისგან მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ ჯერ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით მოხდა ტენდერიდან შპს „სამცხე XXI-ის“ დისკვალიფიკაცია, ხოლო შემდეგ კანონდარღვევით შეუწყდა მიმწოდებელს ხელშეკრულება. შესაბამისად არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა სოფელ ტურცხის სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის პროცესი წარმართა ისე, რომ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტისთვის არ მიეცა შესაძლებლობა შეესრულებია ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოები. აღნიშნული გადაწყვეტილებების შედეგად, მუნიციპალიტეტმა სამშენებლო სამუშაოები შეისყიდა 15.1 ათასი ლარით უფრო ძვირად.<sup>17</sup>

ამრიგად, სოფელ ტურცხის სასმელი წყლის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის პროცესში სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებებით დაირღვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები, რის შედეგად მუნიციპალიტეტმა წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები შეისყიდა 15.1 ათასი ლარით უფრო ძვირად, რაც შესაბამისად წარმოადგენს არაეკონომიურ ხარჯს.

**რეკომენდაცია №3.** მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობის, ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფისა და პრეტენდენტთა მიმართ არასამართლიანი დისკვალიფიკაციის ან ხელშეკრულების კანონდარღვევით შეწყვეტის თავიდან აცილების მიზნით, შეიმუშაოს ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პრეტენდენტების მიმართ სამართლიან და ობიექტურ მიდგომას. ასევე, გამგეობამ აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებულ საკითხთან დაკავშირებით შეისწავლოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები.

### **თოვლისაგან გზის გაწმენდითი სამუშაოები**

**კრიტერიუმი:** მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვას ახორციელებს წინასწარ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. მუნიციპალიტეტმა საქონლის/მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია მოახდინოს, ელექტრონული ტენდერის, გამარტივებული შესყიდვის, კონკურსის ან კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით. ყველა შემთხვევაში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება ხელშეკრულება მუნიციპალიტეტის მოთხოვნებისა და მიმწოდებლის წინადადების გათვალისწინებით.

<sup>16</sup> საქმე №2/-131-16.

<sup>17</sup> 2015 წლის 17 აგვისტოს № 123 ხელშეკრულება - 103.9 ათასი ლარი. 2015 წლის 27 ოქტომბრის № 151 ხელშეკრულება - 119.0 ათასი ლარი.

დაუშვებელია შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ზეპირი ფორმით შეთანხმება. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ასევე დაუშვებელია შესაბამისი დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ზევით გადახდაზე ვალდებულების აღება.

**გარემოება:** 2017 წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაეკისრა 72.9 ათასი ლარის გადახდა შპს „ვემის“ სასარგებლოდ, მუნიციპალიტეტში თოვლისგან გზის საფარის გაწმენდის სამუშაოებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 21 იანვარს ახალქალაქის მუნიციპალიტეტმა თოვლისგან გზის საფარის გაწმენდის სამუშაოებზე ხელშეკრულება გაუფორმა შპს „ვემ-ს“ ღირებულებით 59.5 ათასი ლარი. 2016 წლის 4 აპრილს მიმწოდებელმა დაასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და სრულად აუნაზღაურა სახელშეკრულებო ღირებულება.

2016 წლის დეკემბერში მოსული ნაღების გამო, გამგეობამ შპს „ვემ-ს“ მიმართა, შეესრულებინა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თოვლის გაწმენდის სამუშაოები, თუმცა მიმწოდებელსა და შემსრულებელს შორის წერილობითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა. საბოლოოდ შემსრულებელმა შეასრულა 19.0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაო, რომელიც შესაბამისი აქტებით დადასტურებულია ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლების მიერ.

2016 წლის 27 დეკემბერს ახალქალაქის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს „ვემს“, 2017 წლის განმავლობაში გზების თოვლისაგან გაწმენდის სამუშაოებზე, ღირებულებით 75.3 ათასი ლარი.<sup>18</sup> მიმწოდებელმა ხელშეკრულების ღირებულება ამოწურა 2017 წლის თებერვალში. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წელს კვლავ შეიქმნა თოვლისაგან გზების გაწმენდითი სამუშაოების აუცილებლობა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტსა და შპს „ვემს“ შორის ზეპირსიტყვიერად მიღწეულ იქნა შეთანხმება სამუშაოების შესრულების შესახებ. ზეპირი შეთანხმების საფუძველზე შპს „ვემის“ მიერ შესრულდა 50.0 ათასი ლარის თოვლისაგან გზის გაწმენდითი სამუშაოები.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ ახალქალაქის მუნიციპალიტეტმა დაადასტურა და აღიარა შპს „ვემის“ მიერ შესრულებული სამუშაოების ფაქტი და ღირებულება, თუმცა მუნიციპალიტეტმა მის ანაზღაურებაზე უარი განაცხადა, ბიუჯეტში სათანადო თანხების არ არსეობის გამო.<sup>19</sup>

შპს „ვემ-მა“ სარჩელით მიმართა ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილების შესაბამისად ახალქალაქის მუნიციპალიტეტს შპს „ვემის“ სასარგებლოდ უნდა გადაეხადა ზეპირი შეთანხმების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება, ჯამში 69.0 ათასი ლარი, ამასთანავე მუნიციპალიტეტს დამატებით დაეკისრა სასამართლო პროცესის

<sup>18</sup> SPA160004532.

<sup>19</sup> ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 13 ივნისის წერილი.



ხარჯების 3.9 ათასი ლარის ანაზღაურება.<sup>20</sup> საბოლოოდ მუნიციპალიტეტს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრა 72.9 ათასი ლარის გადახდა, რაც 2017 წელს სრულად იქნა ანაზღაურებული. შედეგად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) დაარღვია შესყიდვების კანონმდებლობა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე ჩაიბარა მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები.

**რეკომენდაცია №4:** მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) დაადგინოს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის მიზეზები და პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სათანადო ღონისძიებები. ასევე, არ დაუშვას სამუშაოების შესყიდვა ზეპირი ფორმით შეთანხმებების საფუძველზე. ანაზღაურება განახორციელოს მხოლოდ წერილობითი სახით შედგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დოკუმენტური და მატერიალური მტკიცებულებების არსებობის პირობებში.

### ქალაქ ახალქალაქის ქუჩებისა და ეზოების მოწყობა

**კრიტერიუმი:** შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის პროცესს ორგანიზება გაუწიოს ისე, რომ თავიდან აიცილოს უხარისხო ან/და დაბალი ხარისხის ობიექტის შეძენა. ამასთანავე, ხელშეკრულების პირობების მიხედვით, საგარანტიო ვადაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია, მუნიციპალიტეტის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს დაზიანება.

**გარემოება 1:** 2015 წელს ახალქალაქის მუნიციპალიტეტმა შპს Fin-Estate-გან შეისყიდა ქ. ახალქალაქში ქუჩებისა და ეზოების მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 1 486.2 ათასი ლარი<sup>21</sup>. ხელშეკრულების მიხედვით, ობიექტის საგარანტიო ვადა განისაზღვრა 2 წლით, რომლის განმავლობაში რაიმე წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს ხარვეზები. 2017 წლის 1 სექტემბერს აუდიტის ჯგუფის მიერ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, ობიექტის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ჭავჭავაძის ქუჩაზე, ჯავახეთის ქუჩიდან ვაჟა-ფშაველას ქუჩამდე ჩიხში, ასფალტის საფარი დაზიანებული და ჩავარდნილია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, გამგეობის შესაბამისი სამსახურებისთვის უცნობია, კონკრეტულად როდის მოხდა აღნიშნული ობიექტების დაზიანება. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს გააჩნდა ვალდებულება მიმწოდებლისთვის მიემართა არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად, შემსყიდველს არ მიუმართავს და შესაბამისად, მიმწოდებელს არ აღმოუფხვრია არსებული ნაკლოვანებები. შედეგად, სამუშაოების ნაწილი, რომელშიც გადახდილია 1 486.2 ათასი ლარი დაზიანებულია და მუნიციპალიტეტს (შესაბამის პასუხისმგებელ პირებს) არ გაუტარებია სათანადო ღონისძიებების მის გამოსასწორებლად.

<sup>20</sup> სახელმწიფო ბაჟი - 2.9 ათასი ლარი, ადვოკატის მომსახურების ხარჯი - 1.0 ათასი ლარი.

<sup>21</sup> SPA140013386 - ხელშეკრულება № 125

სურათი 1. ჭავჭავაძის ქუჩა



**გარემოება 2:** 2015 წლის 1 ივლისს მუნიციპალიტეტმა შპს „ჯავახავტოგზისაგან“ შეისყიდა ქ.ახალქალაქში ქუჩებისა და გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 1 730.0 ათასი ლარი<sup>22</sup>. ხელშეკრულების მიხედვით, ობიექტის საგარანტიო ვადა განისაზღვრა 2 წლით, რომლის განმავლობაშიც რაიმე წუნის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს ხარვეზები. ხელშეკრულების მოთხოვნების გათვალისწინებით, მიმწოდებელს წარმოდგენილი აქვს შპს-ის „საინჟინრო ჯგუფი და ხარისხი საქართველოში“ ლაბორატორიული დასკვნა, რომლის მიხედვით ა/ბეტონის ამონაჭრის შედეგები აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს. 2017 წლის 30 აგვისტოს აუდიტის ჯგუფის მიერ ობიექტის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ :

- №1 სამხედრო ქალაქის ტერიტორიის პირველ მონაკვეთზე დაზიანებული და ჩავარდნილია დაგებული ასფალტის საფარი. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს გააჩნდა ვალდებულება მიმწოდებლისთვის მიემართა არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად, შემსყიდველს (შესაბამის პასუხისმგებელ პირებს) არ მიუმართავს და შესაბამისად, მიმწოდებელს არ აღმოუფხვრია არსებული ნაკლოვანებები.

სურათი 2. №1 სამხედრო ქალაქის ტერიტორიის I მონაკვეთი



<sup>22</sup> SPA150007105 - ხელშეკრულება № 61



- მიასიკიანის ქუჩასა და თავისუფლების შესახვევში ამოჭრილი და დაზიანებულია ასფალტის გარკვეული მონაკვეთი, რომელიც პასუხისმგებელი პირის განმარტებით, უკავშირდება „ენერგოპროჯორჯიას“ მიერ 2017 წლის დეკემბერში ჩატარებულ სამუშაოებს. ობიექტის დათვალიერების თარიღისთვის გამგეობას არ ჰქონდა გატარებული შესაბამისი ღონისძიებები ხარვეზების გამოსწორების მიზნით. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ინფორმაციის მიხედვით, დღეის მდგომარეობით „ენერგოპროჯორჯიას“ მიერ აღნიშნული ხარვეზები აღმოფხვრილია.

სურათი 3. მიასიკიანის ქუჩა



სურათი 4. თავისუფლების შესახვევი



ამრიგად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ხელმძღვანელობის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმები ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ, არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს არსებული ხარვეზების გამოვლენასა და გამოსწორებას. შედეგად, სამუშაოების ნაწილისათვის სრულად ვერ იქნა მიღწეული პროგრამით გათვალისწინებული მიზნები, მისი ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

**რეკომენდაცია №5:** სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას, მუნიციპალიტეტმა დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები და განახორციელოს ისეთი პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას, თუ რამდენად ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები. გამგეობამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) რეგულარულად უნდა განახორციელოს შესყიდული სამშენებლო ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში გაატაროს სათანადო ღონისძიებები, არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ასევე გამგეობამ, პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ საგარანტიო პერიოდში

ინფრასტრუქტურულ პროექტებზე წარმოქმნილი დაზიანებების აღმოსაფხვრელად სათანადო რეაგირება, გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

### **„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოები**

**კრიტერიუმი:** 2015-2016 წლების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ დაფინანსებას, რომლის ფარგლებშიც ყველა სოფელს გამოეყოფა თანხა სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებს ირჩევს სოფლის მოსახლეობა, საერთო კრებაზე, ხოლო პროექტის შესყიდვაზე, მიღება-ჩაბარებასა და შემდგომ ექსპლოატაციაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი. გამგეობა ვალდებულია პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს ორგანიზება გაუწიოს ისე, რომ მოსახლეობას დროულად და ხარისხიანად მიეწოდოს შექმნილი მატერიალური სიკეთე. საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების დადებითი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი უნდა აისახებოდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობაზე.

**გარემოება 1:** აუდიტის მიმდინარეობისას აუდიტის ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ 2015-2016 წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოები. დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებებიდან 3 შემთხვევაში მუნიციპალიტეტს (შესაბამის პასუხისმგებელ პირებს) სამუშაოები ჩაბარებული და ანაზღაურებული აქვს ისე, რომ ფაქტობრივი შესრულება განსხვავდება ხელშეკრულებებსა და მიღება-ჩაბარების აქტებში დაფიქსირებული სამუშაოებისგან, ხოლო ერთ შემთხვევაში - 4.3 ათასი ლარი გადახდილია ისეთ სამუშაოებში, რომელიც არ შესრულებულა. ამრიგად, მუნიციპალიტეტის (შესაბამის პასუხისმგებელი პირების) მიერ ზედმეტად გადახდილია შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულება 4.3 ათასი ლარი. კერძოდ:

- 2015 წელს შესყიდულია სოფელ აფნიაში რიტუალების სახლის მშენებლობის დასრულებისა და საპირფარეშოს აშენების სამუშაოები<sup>23</sup>, ღირებულებით 5.4 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფის მიერ სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლინდა რომ საპირფარეშოს მშენებლობა არ განხორციელებულა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპირფარეშოს მშენებლობის სანაცვლოდ გაიღესა სარიტუალო სახლის კედლი. მიუხედავად ამისა მუნიციპალიტეტს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ჩაბარებული და ანაზღაურებული აქვს საპირფარეშოს მშენებლობის სამუშაოები. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმისა, რამდენად შეესაბამება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულს.
- 2015 წელს შესყიდულია სოფელ კოთელიაში გათბობის, ვენტილაციისა, კონდიციონერების სისტემის მონტაჟი და შენობის დასრულების სამუშაოები, ღირებულებით 1.9 ათასი ლარი.

<sup>23</sup> CMR150139530 - ხელშეკრულება № 82

სამუშაოების დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ რიტუალების სახლისათვის გათბობის სისტემის მოწყობა არ განხორციელებულა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მითითებული სამუშაოს ნაცვლად სარიტუალო სახლისათვის აშენებულია საპირფარეშო და შეძენილია გათბობის მოწყობილობა. მიუხედავად ამისა, მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტს ჩაბარებული და ანაზღაურებული აქვს რიტუალების სახლისთვის გათბობის სისტემის მოწყობა. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმისა, რამდენად შეესაბამება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულს.

- 2015 წელს შესყიდულია სოფელ ქარცეფში წყლის სისტემის რეაბილიტაციისა და პირუტყვისათვის სასმელი წყლის წყალსაცავის მოწყობის სამუშაოებზე, ღირებულებით 6.8 ათასი ლარი. სამუშაოების დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებული ურდული არ არის დამონტაჟებული, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით სამუშაოები ჩაბარებული და ანაზღაურებულია სრულად. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმისა, რამდენად შეესაბამება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულს.
- 2016 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სოფლებში სარწყავი/საირიგაციო არხის მშენებლობის სამუშაოები, ღირებულებით 110.0 ათასი ლარი. სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ სოფელ აზმანაში შეუსრულებელია 4.3 ათასი ლარის ღირებულების პირუტყვის საძოვარზე სასმელი წყლის მიყვანის სამუშაოები, თუმცა წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტით სამუშაოები ჩაბარებული და ანაზღაურებულია სრულად. აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდეგომ სასმელი წყლის საძოვარზე მიყვანის სამუშაოები დასრულებულია.

**გარემოება 2:** 2016 წელს მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება სხვადასხვა სოფელში შენობის დასრულების სამუშაოების შესყიდვაზე (ღობეების, მოაჯირებისა და დამცავი მოწყობილობების მონტაჟი, სასაფლაოებისა და ეკლესიის შემოღობვის სამუშაოები), ღირებულებით 35.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებელმა შეასრულია სოფელ გოგაშენში ეკლესიის შემოღობვის სამუშაოები, ღირებულებით 2.9 ათასი ლარი. მიუხედავად გაწეული ხარჯისა, ეკლესიის შემოღობვა სრულად არ განხორციელებულა. შედეგად მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულია არაეფექტიანი ხარჯი. ვერ იქნა მიღწეული პროგრამის მიზანი და მოსახლეობამ ვერ მიიღო კონკრეტული სარგებელი პროგრამით გახარჯული თანხიდან. არ არის დაცული პროგრამის კრიტერიუმი, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტმა პროექტის დაგეგმვის დროს უნდა გაითვალისწინოს საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების რაოდენობა და შესაბამისად განსაზღვროს მიზნის მიღწევის შესაძლებლობა.

**გარემოება 3:** 2016 წლის 18 ოქტომბერს შპს „აროსთან“ გაფორმდა ხელშეკრულება სხვადასხვა სოფლებში სასმელი წყლის წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ღირებულებით 164.0



ათასი ლარი.<sup>24</sup> შესრულებული სამუშაოების შესწავლის შედეგად გამოვლინდა რომ 15.2 ათასი ლარის სამუშაოები ხარვეზიანია და ფუნქციონირებს შეფერხებით:

- სოფელ გოგაშენში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 0.7 ათასი ლარი, შესრულებულია ხარვეზით და წყალი ადგილობრივ მოსახლეობას მიეწოდება შეფერხებით. მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო არ მიეღო უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები და ხარვეზების გამოსწორებამდე არ აენაზღაურებინა სამუშაოების ღირებულება. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების მიხედვით შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა არის 2 წელი. ვინაიდან საგარანტიო ვადა მოქმედია და შემსყიდველს არ მიუმართავს მიმწოდებლისთვის ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.
- სასმელი წყლის ხაზის დაზიანების გამო წყალი შეფერხებით მიეწოდება სოფელ აზმანის სარიტუალო სახლს. აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე გაწეულია 1.9 ათასი ლარის ხარჯი. ხელშეკრულების მიხედვით შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადაა 2 წელი. ვინაიდან საგარანტიო ვადა მოქმედია და შემსყიდველს არ მიუმართავს მიმწოდებლისთვის ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტი ვალდებულია გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.
- სოფელ ოკამში წყლის სათავე ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გადახდილია 12.6 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული ნაგებობის ბეტონის კედლები დაზიანებულია ჰიდროსაიზოლაციო სისტემის არ არსებობის გამო, ასევე დაზიანებული იყო სათავე ნაგებობის ჩამკეტი ურდული. აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდეგ, მუნიციპალიტეტის შესაბამისი რეაგირებით, პრობლემა აღმოფხვრილია ნაწილობრივ, კერძოდ, წყლის სათავე ნაგებობაზე დამონტაჟებულია ახალი ურდული.

ამრიგად, 2015-2016 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესყიდული სამუშაოების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ:

- მუნიციპალიტეტის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს ჩაბარებული და ანაზღაურებული აქვს 4.3 ათასი ლარის შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულება;
- შესყიდულია 15.2 ათასი ლარის სამუშაოები, რომლებიც ხარვეზიანია და ფუნქციონირებს შეფერხებით;
- მუნიციპალიტეტმა შეისყიდა ისეთი სამუშაო, რომლის დაგეგმვისას არ გაითვალისწინა საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსები, შედეგად პროექტი სრულად არ განხორციელებულა და მოსახლეობამ ვერ მიიღო კონკრეტული სარგებელი პროგრამით გახარჯული თანხიდან.

<sup>24</sup> SPA160024705 - ხელშეკრულება № 105.

**რეკომენდაცია №6:** მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს თავიდან აიცილოს ისეთი პროექტების განხორციელება, რომლითაც მოსახლეობა ვერ სარგებლობს. მუნიციპალიტეტმა ასევე შეიმუშაოს და დანერგოს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც შეამცირებს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების შესყიდვის რისკს. ამასთანავე, უზრუნველყოს საგარანტიო პერიოდში უხარისხობის მიზეზით გამოწვეული ხარვეზების გამოვლენასა და გამოსწორებას. მუნიციპალიტეტმა ასევე შეისწავლოს საკითხი თუ ვის ევალებოდა აღნიშნული ხარვეზების გამოვლენა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

### შიდა აუდიტი

**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია სისტემის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შიდა აუდიტის სამსახურის შექმნა. შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია დაეხმაროს მუნიციპალიტეტს იმ პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებაში, რომლებიც დაადგინა ხელმძღვანელობამ მოწესრიგებული და ეფექტიანი მართვის მიზნით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად შიდა აუდიტის სამსახურის უპირველეს ფუნქციას სისტემური ხარვეზების შესწავლა და მათ გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავება წარმოადგენს. შიდა აუდიტის რეკომენდაციებმა უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდა.

შიდა აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები უნდა დაეხმაროს ხელმძღვანელობას ორგანიზაციაში ჩამოაყალიბოს ისეთი სისტემები, რომელიც გააუმჯობესებს ფინანსების მართვას, ორგანიზაციის აქტივების დაცვას, ბუღალტრული აღრიცხვის სათანადო წარმოებასა და სხვ. რეკომენდაციების დახმარებით ორგანიზაციამ უნდა შეძლოს ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოჩენა, თაღლითობისა და შეცდომების გამოვლენა და პრევენცია.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი თავის მხრივ ვალდებულია გაითვალისწინოს შიდა აუდიტის ანგარიშში ასახული რეკომენდაციები და უზრუნველყოს მისი დროული შესრულება.

**გარემოება:** ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2015-2016 წლებში დამტკიცებული შიდა აუდიტორული ანგარიშების შესწავლით გამოვლინდა, რომ შიდა აუდიტის სამსახურს არ შეუსწავლია გამგეობის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა. სამსახურს არ შეუფასებია შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხდება დაფინანსების გამოყენება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. შესაბამისად, არ განუხორციელებია შესაძლო დარღვევებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება.

შედეგად, შიდა აუდიტის სამსახურს, არ შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი მუნიციპალიტეტის რესურსების ეკონომიურად გამოყენებაში, გამგეობის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებასა და მუნიციპალიტეტის დასახული მიზნების მიღწევაში. მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულებზე შიდა აუდიტის სამსახურს არ გაუცია შესაბამისი რეკომენდაციები, რაც უზრუნველყოფდა რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

**რეკომენდაცია №7:** ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება არსებული რისკების შეფასებითა და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. აღნიშნული გამგეობას საშუალებას მისცემს, გამოავლინოს მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში არსებული დარღვევა-ნაკლოვანებები და მათი აღმოფხვრის მიზნით ჩაატაროს შესაბამისი ღონისძიებები. ამასთან, შიდა აუდიტის სუბიექტმა შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

### სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

#### პირობითი მოსაზრება 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი. აუდიტის ობიექტის ფინანსური ანგარიშგება, რომელზეც გამოითქვა აუდიტორული მოსაზრება, მოიცავს:

1. ბალანსს;
2. ანგარიშს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით;
3. ანგარიშს არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ;
4. ანგარიშს ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ;
5. ანგარიშს წმინდა ღირებულების შესახებ;
6. ანგარიშს არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ;
7. ანგარიშს მიზნობრივი დაფინანსებისა და მიზნობრივი გრანტების შესახებ;
8. ანგარიშს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ;
9. ანგარიშს არასაოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ;
10. ინფორმაციას არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე;
11. ინფორმაციას ანგარიშებზე რიცხულ დებიტორულ დავალიანებათა შესახებ;
12. ინფორმაციას ანგარიშებზე რიცხული კრედიტორული დავალიანების შესახებ;
13. ინფორმაციას დებიტორული დავალიანების შესახებ, ორგანიზაციულ ჭრილში;
14. ინფორმაციას კრედიტორული დავალიანების შესახებ, ორგანიზაციულ ჭრილში.

ფინანსური ანგარიშგების ფორმები წარმოდგენილია აუდიტის ანგარიშის დანართის სახით.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო გავლენის გარდა, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, შემდეგი სამართლებრივი აქტების შესაბამისად:

✓ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

### **პირობით მოსაზრების საფუძველი**

#### **დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები**

მუნიციპალიტეტმა 2016 წელს შეისყიდა გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები საერთო ღირებულებით 1 095.0 ათასი ლარი.<sup>25</sup> ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოების ნაწილი საერთო ღირებულებით 116.2 ათასი ლარი დასრულდა 2016 წელს ხოლო დარჩენილი ნაწილი დასრულდა და შესაბამისად ანაზღაურება განხორციელდა 2017 წელს. შედეგად 2016 წელს ნაწილობრივ შესრულებული სამუშაოები ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბალანსში წარმოდგენილი უნდა იყოს „დაუმთავრებელი მშენებლობის“ მუხლში. აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების შემდეგ ფორმებზე:

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N 1 და ბალანსის დანართი ფორმა N5) „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლის ნაშთი წლის ბოლოსათვის შემცირებულია 116.2 ათასი ლარით.

<sup>25</sup> 2016 წელს გაფორმებული №108 ხელშეკრულება



- ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი ბალანსის „წმინდა ღირებულების“ მუხლი.

### **შენობა-ნაგებობების აღრიცხვა**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „შენობა-ნაგებობების“ მუხლში აღრიცხულია სხვა პირებზე უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემული ჰიგიენის შენობა და ორი ამბულატორია საერთო ღირებულებით 277.9 ათასი ლარი, რომელსაც ერიცხება ცვეთა 6.6 ათასი ლარის ოდენობით. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, გრძელვადიანი უზუფრუქტით გადაცემული შენობა მუნიციპალიტეტმა უნდა მოხსნას საკუთარი ბალანსიდან და გადავიდეს იმ ორგანიზაციის ბალანსზე, რომელიც ფაქტობრივად იყენებს მას. შესაბამისად, ბალანსში „შენობა-ნაგებობების“ მუხლში არასწორადაა ასახული 277.9 ათასი ლარის ღირებულების შენობები. აღნიშნული შენობების ცვეთა წარმოადგენს იმ ორგანიზაციის ხარჯს, რომელიც ფაქტობრივად იყენებს აქტივს, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ხარჯების ცვეთის თანხით გაზრდილადაა წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების შემდეგ ფორმებზე:

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N1 და ბალანსის დანართი ფორმა N5) 277.9 ათასი ლარით გაზრდილადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ მუხლი.
- დარიცხული ცვეთის თანხით, ჯამში 6.6 ათასი ლარით, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა N2; N3 და N5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N1) არასწორადაა წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლი

### **მანქანა - დანადგარები და ინვენტარის აღრიცხვა**

2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მუნიციპალიტეტს არ აქვს აღრიცხული 46.8 ათასი ლარის საოფისე ინვენტარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული განპირობებულია მექანიკური შეცდომით აქტივების ჯამის გადმოტანის დროს, შედეგად ბალანსის „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლი შემცირებულადაა წარმოდგენილი. აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების შემდეგ ფორმებზე:

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N 1 და ბალანსის დანართი ფორმა N5) 46.8 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლი.
- აღნიშნულ აქტივებს არ დარიცხვია ცვეთა, რის შედეგად შესაბამისი ცვეთის თანხით, ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა N2; N3 და N5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორადაა წარმოდგენილი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N1) არასწორადაა წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლი

### **არაწარმოებული აქტივების აღრიცხვა**

მუნიციპალიტეტს 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ნულოვანი ღირებულებით აქვს წარმოდგენილი ნალბანდიანის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის ღირებულება არ არის შეფასებული, საფინანსო სამსახურმა მისი აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში მოახდინა ნულოვანი ღირებულებით. შედეგად ფინანსურ ანგარიშგებაში შემცირებული ღირებულებითაა წარმოდგენილი „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი. აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგებაში ბალანსი - ფორმა N1-ზე, სადაც მიწის ღირებულებით არასწორადაა წარმოდგენილი „არაწარმოებული აქტივებისა“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები.

### **შემოსავლების აღრიცხვა**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების დანართ N3-ში „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ სხვა შემოსავლების მუხლში აღრიცხულია 1 283.8 ათასი ლარი მაშინ როდესაც მუნიციპალიტეტმა ფაქტობრივად მიიღო 3 048.1 ათასი ლარი. შედეგად აღნიშნული მუხლი შემცირებულადაა წარმოდგენილი 1 764.3 ათასი ლარით. აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების შემდეგ ფორმებზე:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა N1) 1 764.3 ათასი ლარით არასწორადაა წარმოდგენილი „წმინდა ღირებულების“ მუხლი.
- ფინანსური ანგარიშგების დანართი (ფორმა N3) „ანგარიში წმინდა ღირებულების“ შესახებ, 1 764.3 ათასი ლარით არასწორადაა წარმოდგენილი „სხვა შემოსავლების“ მუხლი.

### **ახალქალაქის მუნიციპალიტეტში წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა ნაკლოვანებების მდგომარეობა**

2014 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი, რომლის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანება. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ მუნიციპალიტეტს ყველა გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებაზე გატარებული აქვს შესაბამისი ღონისძიებები.

### აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

### აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:

მიხეილ ჩიქოვანი



ხელმოწერა

11.01.2018

თარიღი

აუდიტორი:

თეა უდესიანი



ხელმოწერა

11.01.2018

თარიღი

აუდიტორი:

ლალი ამბროლაძე



ხელმოწერა

11.01.2018

თარიღი

აუდიტორი:

პაატა კუბლაშვილი



ხელმოწერა

11.01.2018

თარიღი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96  
+995 32 243 84 38

**SAO.GE**